**- რა გამშვიდებთ, როცა ცუდი განწყობა გაქვთ ან უბრალოდ პრობლემის წინაშე დგახართ?**

- ასეთ დროს არანაირ დამამშვიდებელ საშუალებებზე არ ვფიქრობ, რადგან ცუდი განწყობა მხოლოდ გარდამავალი ეტაპია კარგისაკენ.

**- თქვენი ზოდიაქო?**

- ტყუპები. წელიწადი - მამალი.

**- რა უფრო გიამოვნებთ: შემოქმედება თუ სიყვარული?**

- ეს იგივეა, ტკბილეულის მოყვარულს რომ ჰკითხოთ - რა უფრო გიყვარს: შოკოლადის ფილა თუ შოკოლადის ტორტიო.

**- გახსოვთ პირველი გამოსვლა სცენაზე... რა იმღერეთ მაშინ?**

- მე ბედმა გამიღიმა. ჩემი პირველი სცენა იყო რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი დარბაზი - „ოლიმპიური". მე ვიმღერე „**Полуночный ковбой**" და როცა სიმღერის ბოლოს დარბაზი ამყვა, გავიფიქრე - „მგონი უკვე ვარსკვლავი ვარ-მეთქი!"

**- თქვენი ყველაზეფანტასტიური ოცნება?**

- ჩემმა ფანტასტიურმა ოცნებამ ფანტასტიურობა დაკარგა, როცა რიგითი ამერიკელი მოქალაქე კოსმოსში ტურისტად გაფრინდა.

**- თქვენი საყვარელი ფერი?**

- საყვარელი ფერი განისაზღვრება წელიწადის დროის, ამინდის და განწყობის მიხედვით. დიდი სიმპათიით ვეკიდები შავ ფერს, მაგრამ იშვიათად ვიცვამ ასეთ სამოსს... იმისათვის, რომ მარგალიტის ძაფებით გაწყობილი შავი კაბა გეცვას, ძალიან ბევრი უნდა იმუშაო.

**- წლის დრო?**

- მიყვარს ყველაფერი ნამდვილი: ნამდვილი ზამთარიც და ნამდვილი ზაფხულიც.

**- საყვარელი საჭმელი?**

- ერბოკვერცხის გარეშე ერთი დღის სიცოცხლეც არ შემიძლია.... ეს ნამდვილი სიყვარულია!

**- რას უსურვებდით ქალს ცხოვრებაში?**

- მადლობა ღმერთს, ეს ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ქალს არ სჭირდება ზედმეტი ბრძოლა; მან უბრალოდ უნდა ისწავლოს - იყოს ქალი! სხვა დანარჩენი კი თავისით მოვა.

**- მამაკაცს?**

- ეძებოს ქალი!

**- რას კითხულობთ ახლა?**

- მთელ რუსეთთან ერთად აკუნინი გადავიკითხე; ახლა მისი სულ პირველი წიგნის წაკითხვას ვაპირებ, რაც ჯერ კიდევ ყმაწვილობის გვარით - ჩხარტიშვილით - გამოაქვეყნა. „მწერალი და თვითმკვლელობა" - ასე ეწოდება ამ წიგნს. სხვათა შორის, ადრე არასოდეს ვკითხულობდი პუბლიცისტიკას, მაგრამ ახლა ძალზედ დამაინტერესა. თუ ახალი ვერაფერი გავიგე აკუნინისა, იძულებული ვიქნები მის მიერ დაწერილი ისტორიის სახელმძღვანელოები გადავიკითხო.

**- მოგბეზრდათ ჟურნალისტების ზედმეტი ყურადღება. იშვიათად რატომ სთანხმდებით ინტერვიუზე?**

- იმ კითხვების სია, რასაც ჩემი ჟანრის წარმომადგენლებს აძლევენ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არცთუ მრავალფეროვანია... ასე რომ, არ მინდა „თუთიყუშის" ამპლუა შევიძინო!

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | 3 | | 7 | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 6 | 4 | 2 | 6 | 1 | 7 | 7 | 7 | 6 | | 6 | | 2 | 1 | 1 | 1 | | | | | |
| | | | | | | 2 | | | 3 | 2 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 8 | 3 | 6 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | | |
| | | | 1 | 1 | 4 | 3 | 7 | 9 | 1 | 2 | 3 | 5 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 5 | 3 | 3 | 4 | 3 | 3 | 3 | 4 | 3 | 3 |
| | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 20 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 4 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 12 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 14 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 4 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | 1 | 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

## გამოშვება №32, ნაწილი მეორე




შვილის შეძენის შემდეგ ანი ჟირარდომ სამი ულამაზესი წელი გაატარა იტალიაში. მას ცოტ-ცოტას ათამაშებდნენ ფილმებში იტალიელი რეჟისორები, მაგრამ იმხანად ანისთვის მთავარი მაინც რენატო და მისი თავქარიანი ცხოვრება იყო. ამ მართლაც-და თავქარიანი იტალიელისათვის საერთოდ არ არსებობდა ისეთი ცნება, როგორიცაა სიფრთხილე. ცხენები, თხილამურები, მანქანით თავაწყვეტილი ჯირითი რომის ქუჩებში - აი, ის თავბრუდამხვევი სტიქია, სადაც რენატო სიცოცხლის აზრს პოვებდა. ამ კაცის აზარტს საზღვარი არ გააჩნდა და ხასიათის ამ თვისებას მაშინაც კი ამჟღავნებდა, როცა პატარა ჯულიასთან ლოტოს თამაშობდა. ბანქოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! ამგვარ გართობებში მისი უცვლელი პარტნიორი ადრიანო ჩელენტანო გახლდათ და ერთი ასეთი პაექრობისას ადრიანომ „მერსედესიც“ კი წააგო რენატოსთან.

...ანის ამგვარი ცხოვრება არ შეეძლო... იგი მალე იღლებოდა თავაწყვეტელი რიტმისაგან.

არც სიყვარულში იყო მთლად დალაგებული რენატო სალვატორე. მას შეეძლო ყველაზე „ეკზოტიკურ“ სიტუაციებში მოეთხოვა ანისგან ცოლქმრული ურთიერთობის აღსრულება და საოცარი ისაა, რომ ეს ვნება მასში კი არ იკლებდა, არამედ დღითიდღე მატულობდა და მთელი ცხოვრების მანძილზე შემორჩა.

რენატო მზრუნველი მეუღლე და მამა იყო, თუმცა ამ მზრუნველობას თავისებურად ამჟღავნებდა: ერთხელ ანი ჟირარდო მარკო ფერარის დასთანხმდა ერთი რიგით ფილმში მონაწილეობაზე; დაიწყო გადაღებები და მან რეჟისორთან საერთო ენა ვერაფრით გამონახა, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ საღამოს, გადაღების შემდეგ, ანი აცრემლებული დაბრუნდა სახლში; ქალის ცრემლები საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ რენატოს სიგიჟე გამოეწვია; იგი შლეგივით გავარდა მარკო ფერარისთან და მუშტიკრივით გაარკვია ანისთან დაკავშირებული კონფლიქტი...

...დიახაც, რომ აღაფრთოვანებდა ანი ჟირარდოს ამგვარი მზრუნველობა... მაგრამ...

სამიოდე წლის შემდეგ გაირკვა, რომ ანის ოდნავ მოენატრა ნამდვილი კინო, რომ მას დიდი საქმის წამოწყება სურდა, რომ მცირე ხნით მაინც ეწადა რენატოს სიფიცხისაგან გაცლა და დამშვიდება. გამუდმებულმა აყალმაყალმა, ნასვამი ქმრის ხუშტურებმა ხმაურიანმა აღსარებებმა ზღვარს მიაღწიეს და... სრულიად მოულოდნელად მარსელ კარნემ დიდი და საინტერესო როლი შესთავაზა ანის.

ცოლის გამგზავრების წინა საღამოს რენატო საგანგებოდ დათვრა და ანის წინაშე ვედრებით დაემხო - „არ წახვიდე, არ მიმატოვო“-ს ძახილით, მაგრამ ანი ჟირარდო წავიდა და იმ დღიდან მისი ახალი ცხოვრებაც დაიწყო. კვლავ ცვენაზე წამოვიდა როლები, კვლავ ალაპარაკდა პრესა, კვლავ გადმოვიდნენ შემოტევაზე ფოტოგრაფები... რენატო კი... რენატოს სულ უფრო ნაკლებად სთავაზობდნენ სამუშაოს, სულ უფრო ნაკლებად ხედავდა მას მაყურებელი; მას შეერყა ჯანმრთელობაც და თავმოყვარეობაც და ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც ჟურნალისტმა იგი „მუსიე ჟირარდოდაც“ კი მოიხსენია. თითქოს ეს იყოო საბაბი იმისა, რომ რენატოს ცოლის მიმართ უსიმპათიო გრძნობები შემოეპარა. რენატო უმუშევარი დაწანწალებდა რომის ქუჩებში და ანის არც ბარათებზე პასუხობდა და არც პარიზიდან წამოსულ სატელეფონო ზარებზე ახდენდა რეაგირებას.

...დასრულდა მორიგი გადაღება და ანიმ მორიგ სამუშაოს იტალიაში დაბრუნება არჩია. ჩაფრინდა რომში, მღელვარებისაგან აკანკალებულმა შეაღო ოდესღაც ბედნიერების მომტანი სახლის კარი, მაგრამ იქ არავინ დახვა. ანიმ უმალ შემოირბინა ახლომდებარე ბარ-რესტორნები, მაგრამ რენატოს კვალსაც ვერ მიაგნო... დილით ერთმა გულისხმიერმა ტაქსისტმა სიმთვრალისაგან გონსგადასული რენატო ძლივს აათრია კიბეებზე. ამ დღიდან დაიწყო ის კოშმარი, რასაც ცოლქმრული ურთიერთობის ნგრევა ჰქვია. გიჟმაჟი იტალიელის დაკარგვა, შესაძლოა, არც იყო დიდი ტრაგედია, მაგრამ საშინელება აღმოჩნდა იმის გააზრება, რომ ეს „იტალიელი დათვიც“ სუსტი და სულმოკლე ქმნილება აღმოჩნდა.

ანი მთელი ცხოვრება დაეძებდა ნამდვილ მამაკაცს, მაგრამ, როგორც ჩანს, იქ, სადღაც ზევით, განგებას არ ჰქონდა გათვალისწინებული მისთვის ამგვარი მამრი გამეტება.

...თუმცა ყოველივე ამას ანი ჟირარდო ქვეცნობიერად გრძნობდა, რეალურად კი იძულებული შეიქნა დარჩენილიყო ქმართან და მისი, როგორც პიროვნების, გადარჩენაზე ეზრუნა. ამ ხანში ორკვირიანი „თაფლობის ხანის“ გადატანაც მოუხდა ქალს და იმედგაცრუებათა კასკადმაც საკმაო ენერგიით გადმოჩქეფა. და როცა მორიგ გადაღებებზე მოუხდა ანი ჟირადოს ჩასვლა პარიზში, მას ულტიმატუმიც წაუყენეს: ან პარიზი ან რომი! რა თქმა უნდა, პარიზი, მაგრამ რომი? რენატო? ჯულია? ეგებ მეორე ბავშვი გააჩინოს, რაც ყველას ყველაფერს დაავიწყებს და სუსტისა და ძლიერის გარჩევის დროს აღარ დაუტოვებს კოშმარში გახლართულ ცოლქმარს?




რაღაც ამდაგვარი ჭიდილი საკუთარ თავთან აკვიატებული იდეასავით სდევდა უკვე მსოფლიო მნიშვნელობის მსახიობ ანი ჟირარდოს. ერთხელ, ნიუ-იორკში რომ იყო გადაღებებზე, ანის ძალიან მოუნდა სახლში დაბრუნება, მაგრამ სად იყო მისი სახლი?! პარიზში - ცარიელ ბინაში? რომში - ლოთ ქმართან? თუ კორტინო დ'ამპეცოში, სადაც ჯულია უკვე ნამდვილ იტალიელ ქალად იყო აღზრდილი?

პარიზში! მაინც პარიზში! ჩავიდა ანი ჟირარდო პარიზში, მიწვა თავის საყვარელ დივანზე, რომლის თავთით დროდადრო წკრიალებდა ტელეფონი და მიხვდა, რომ დაიღალა! დაიღალა საკუთარი თავისაგან, დაიღალა ცხოვრებისაგან, დაიღალა... რენატოსაგან, რომელმაც თითქოს გუმანით შეიტყოო, რომ ანი პარიზშია და ცოლს აუწკრიალა ტელეფონი - „რომში ჩამოდი, შენ მე მჭირდებიო“. და ამას მოჰყვა არა არტისტული, არამედ რეალური ცხოვრებისეული პაუზა, რომლის ბოლოსაც ანი ჟირარდომ გულგრილი ტონით განუცხადა რენატო სალვატორეს - „ვერ ჩამოვალ, დავიღალე!“

დაიღალა ანი ჟირადო, მაგრამ არა კინოსათვის. მეორე დილით კვლავ აწკრიალდა ტელეფონი და კლოდ ლელუშმა სახელოვანი ფრანგი მსახიობი მორიგ გადაღებაზე მიიწვია.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლელუში ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ანის სამუშაოდ იხმობდა. ათი წლით ადრე ამ რეჟისორს ჟირარდო მუშაობისას ენახა და ფიცი მიუცია საკუთარი თავისთვის, რომ მასთან ერთად ფილმს გადაიღებდა. პირველი შეხვედრისთანავე კლოდმა გამაოგნებელი ვნებით შეხედა ანის, ამ უკანასკნელმაც უმალ შენიშნა, რომ კაცს საოცრად ლამაზი ხელები ჰქონდა...

ლელუშს ჰყავდა ცოლი, ჟირარდოს კი - ქმარი, მაგრამ ამას რატომღაც ხელი არ შეუშლია მათთვის!

...კლოდ ლელუშმა ისეთი მამაკაცური მომხიბვლელობა გადმოაფრქვია საკმაოდ შეზღუდულ დროში, რაც არსად და არასოდეს ენახა უკვე ცხოვრებაგამოვლილ ანი ჟირარდოს. მიმდინარეობდა გადაღებები და პარალელურად ვითარდებოდა ლელუშ-ჟირარდოს მშვიდი და მდორე რომანიც. გაზეთებში ამ „ნაზი წყვილის“ სურათებმაც გაიელვას, რასაც საკმაო გულგრილობით შეხვდნენ ორივე, რადგან იცოდნენ, რომ გადაღებების დასრულებასთანავე დასრულდებოდა მათი ტრფიალიც. ასეც მოხდა! სხვათა შორის, დიდი ხნის შემდეგ, როცა რენატო უკვე აღარ იყო ცოცხალი, ლელუშმა კვლავ მიიწვია ანი გადაღებებზე. ყველაფერი ის, რაც ადრე ხიბლავდა ამ კაცში ჟირარდოს, ახლა უკვე საოცრად აღიზიანებდა... ეს ხმადაბალი საუბარი, განაზებული ღიმილი, დახვეწილი მანერები... ყველაზე მეტად კი ლელუშის ვნებიანმა მზერამ გაახელა ქალი და ერთხელ, მთელი გადამღები ჯგუფის წინ ჟირარდომ უყვირა ლელუშს: „ნუ მიყურებ დამბლადაცემული ძროხასავით! ან მითხარი, რა გავაკეთო, ან გავიქცევი ამ ნაგვის ყუთიდან!-ო“

* * *

...ხანგრძლივი განშორების შემდეგ რენატოს რომ ხვდებოდა ხოლმე, თავზეხელაღებულ იტალიელს თვალები ცრემლებით ევსებოდა. მან ყველაფერი იცოდა ცოლის წარმატებების შესახებ. იგი საათობით უყვებოდა, როგორ ელოდნენ ის და ჯულია ოჯახის დედის დაბრუნებას, რომ მას კინომ ზურგი აქცია, რომ ყველა დროის საუკეთესო ფილმად მაინც „როკო და მისი ძმები რჩება“, ანი გამუდმებით უმტკიცებდა, რომ რენატოს წინ კიდევ დიდი მომავალი ელის, რომ იგი ღირსია მსოფლიო აღიარებისა, მაგრამ ქმარი ნაღვლიანად ულიმოდა, ჩანდა, რომ ეს იმედები მისთვის აუხდენელი ზღაპრის ტოლფასი იყო და უკვე აღარ ევედრებოდა, რომ დარჩენილიყო რომში, რადგან მშვენივრად ესმოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

ახლა უკვე უმუშევარ რენატოს შეეძლო პარიზში გადაბარგებულიყო, მაგრამ სიამაყე არ აძლევდა ამის უფლებას. იგი პარიზში არ წავიდა მაშინ, როცა ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე მამაკაცი იყო და, მით უმეტეს არ გააკეთებდა ამას ახლა, როცა დაბერდა, თითქმის მთლად გალოთდა და როცა აღარაფრის შეცვლა არ შეეძლო.

დრო გადიოდა და რენატოს ცხოვრებისაკენ შემობრუნება სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა შორეულ მირაჟს. ანი ორიოდე დღით ჩადიოდა მასთან რომში და კვლავ უბრუნდებოდა პარიზის გამოცარიელებულ ბინას. ერთხელ ანიმ ბობ დეკუს საგანგებოდაც კი დააწერინა პიესა რენატოსათვის და სპექტაკლის დადგმისათვის იმდენი სახსრები გაიღო, რომ გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა, მაგრამ ვერც ამან შემოაბრუნა მისი ქმარი ცხოვრებისაკენ.

რომიდან ყოველი დაბრუნების შემდეგ ანი ემოციურ განტვირთვას საჭიროებდა, რაც დაავიწყებდა მას იმ კაცს, ვინც მისი ცხოვრება გაუაზრებელი გზებით და მიმართულებებით ატარა. ეს „განტვირთვა“ კი თანდათანობით ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ გადაიხარა. იყო დრო, როცა ანი ჟირარდო რესტორნებიდან ვერ გამოჰყავდათ, სადაც იგი უზომო რაოდენობის საჭმელს ანადგურებდა, რასაც ისეთი ხანგრძლივობის შიმშილობა მოსდევდა, რომ მეგობრები სერიოზულად ზრუნავდნენ მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე... იყო ასეთი დრო!

1988 წელს კი, ხმელთაშუა ზღვაზე ქალიშვილთან ერთად რომ ისვენებდა, ანი ჟირარდოს აცნობეს, რომ რენატო სალვატორე გარდაიცვალა.რა იგრძნო ქალმა? მხრებიდან ჩამოხსნა უზარმაზარი ტვირთისა, რასაც იგი მთელი ცხოვრება დაატარებდა პარიზსა და რომს შორის, მაგრამ ეს აზრი უმალ განიშორა ანიმ, რადგან იგრძნო, რომ რენატოს სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა მორიგი განშორება საყვარელ ადამიანთან!...

* * *

„მე აღარავინ მყავს ისეთი, ვისთვისაც გალამაზება დამჭირდება“ - ამბობს ახლა ანი ჟირარდო და მისი სახე სულ უფრო მეტად ემსგავსება პარიზის რუკას.

# რა დატოვა მე-20 საუკუნემ?

**საკონცენტრაციო ბანაკები... გაზის კამერები... გულაგი... ჩერნობილი... ყოველივე ეს XX საუკუნის „დამსახურებაა“, მაგრამ, რა თქმა უნდა, არის საგნები და ცნებები, რასაც კაცობრიობა მეოცედან ოცდამეერთე საუკუნეშიაც სიამოვნებით გადმოიყოლებს. სწორედ ამგვარი „სუბიექტების“ სია შექმნა ამერიკულმა ქსელურმა ჟურნალმა** - THE UTNE READER **(...რაც აშკარად განსხვავდება თავის „ვარდისფერი სათვალეებით“ სხვა ამერიკული გამოცემებისაგან, სადაც გონიერების სინონიმად აშკარად ფულია მიჩნეული).**

**გთავაზობთ ამ სიის მაქსიმალურად ზუსტ ვარიანტს... უკომენტაროდ. (ორიგინალში სია ანბანზე დალაგებული, რაც, ბუნებრივია, ვერ იქნება შენარჩუნებული ქართულ თარგმანში)**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ავიაგადაფრენები. ითვლება, რომ ატლანტიკა პირველად ჩარლზ ლინდბერგმა გადაიფრინა. სინამდვილეში კი ეს პირველად 1919 წელს ინგლისელმა ჯონ ელკოკმა და ამერიკელმა არტურ ბრაუნმა გააკეთეს. ისინი საკუთარი თვითმფრინავით კუნძულ ნიუფაუნდლენდიდან აფრინდნენ და 28 საათის შემდეგ ირლანდიაში დაეშვნენ. ამგვარი გადაფრენების ინდუსტრიაში კი ნამდვილი გადატრიალება 50-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ახლადშექმნილ „ბოინგ-707“-ზე საფრენად იმდენად დაბალი ფასები დადგინდა, რომ ბილეთის შეძენა სკოლის მასწავლებლებს და რიგით მუშებსაც კი შეეძლოთ. ასე რომ, მათაც მიეცათ ევროპის ნახვის შესაძლებლობა.



აიკიდო. აღმოსავლური ორთაბრძოლის ეს სახეობა საშუალებას იძლევა აირიდო თავდამსხმელის შემოტევა და ის უფრო კოოპერაციაზეა დაფუძნებული, ვიდრე კონკურენციაზე. აიკიდოს ტექნიკა და იდეოლოგია 1925 წელს წარმოიშვა, როცა იაპონელმა ოსტატმა მორიჰეი იოშიბამ, დაასრულა რა დუელი მახვილებით, უცებ დაინახა, როგორ დაეღვარა მის მახვილს ოქროსფერი ნათება, იდუმალმა ხმა კი ამცნო - „მე ვარ სამყარო!“ გაოგნებულმა უეშიბამ გადაწყვიტა ჯიუ-ჯიცუსა და მახვილებით დუელის წესების გაერთიანება, რითაც დასაბამი დაუდო აიკიდოს - დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ორთაბრძოლას, რასაც ორმხრივი სიხარული და სამყაროს ერთდროული შეცნობა მოაქვს მოპაექრეთათვის.

ანონიმური ლოთები. ანონიმური დახმარების მსოფლიო ორგანიზაცია, რასაც ალკოჰოლიზმით დაავადებულთა დახმარება აქვს მიზნად დასახული, 1935 წელს ნიუ-იორკელი ბროკერისა და ყოფილი ლოთის ბილ უილსონის მიერ იქნა დაარსებული. პირველ წელს თავად უილსონი უკავშირდებოდა აღნიშნული სენით დაავადებულებს და ხანგრძლივი საუბრები ჰქონდა გამართული მათთან მისი სიავის შესახებ. გასული 65 წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციამ უამრავ ადამიანს გაუხანგრძლივა სიცოცხლე; მაგალითისთვის: უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მას დახმარებისათვის 1,2 მილიონმა ადამიანმა მიმართა.

ანტიბიოტიკები. ინგლისელი ალექსანდრ ფლემინგის მიერ პენიცილინის აღმოჩენის ამბავი ყველსათვის ცნობილია. ერთხელ, შვებულებიდან რომ დაბრუნდა, მეცნიერმა შენიშნა, რომ მის მიერ უყურადღებოდ და უთავსახუროდ დაროვებული სტაფილოკოკების ნიმუშები რაღაც ობისმაგავრი ნივთიერების მიერ იყო განადგურებული. ფლემინგმა ამ ანტიბაქტერიულ საშუალებას „პენიცილინი“ უწოდა, ხოლო ტერმინი „ანტიბიოტიკი“ შემოღებულ იქნა რუსი ემიგრანტის ზალმან ვასმანის მიერ (ორივე მათგანი ნობელის პრემიის ლაურეატები არიან). ამ ყველაზე უბრალო და იაფ ტექნოლოგიას, რაც სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურება, უკუშედეგებიც მოაქვს - ის იმუნურ სისტემას ასუსტებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანტიბიოტიკები მაინც გამოიყენება მიოლინობით ადამიანის გამოსაჯანმრთელებლად.

სისხლის ბანკი. დაახლოებით ოთხი მილიონი ამერიკელი დღეს ერთმანეთს უცვლის სისხლს იმ სისტემის წყალობით, რაც 1916 წელს დოქტორმა ოსვალდ რობერტსონმა შექმნა. საოცარია, მაგრამ სისხლის პირველი ბანკი შეიქმნა არა აშშ-ში, არამედ ლენინგრადის ერთ-ერთ სავადმყოფოში 1932 წელს! 1940 წელს კი შეერთებულმა შტატებმა შექმნა „ორგანოთა გაცვლის“ ეროვნული პროგრამა, შემოიღო რა რეგისტრაციის ერთიანი სისტემა არა მარტო სისხლის, არამედ თირკმელების, გულის და სხვა ორგანოების დონორთათვის და მათთვის, ვინც ამა თუ იმ ორგანოს შეცვლას საჭიროებს.

ცხელი წყალი. 1900 წლისათვის ამერიკის დიდი ქალაქების უმეტეს სახლში უკვე არსებობდა წყალგაყვანილობის სისტემა, მაგრამ ისეთი ფუფუნება, რაც გულისხმობს კრანის მოშვებას, საიდანაც ცხელი წყლის ჭავლი გადმოიღვრება, კიდევ 30 წლის განმავლობაში ელოდა თავის შემქმნელებს. 1930 წელს გამოჩნდა იაფია და მარტივი წყლის გამაცხელებლები, 1968 წლიდან კი ხმარებაში შევიდა ისეთი მოწყობილობა, რამაც ბინაში სამოთხისებრი გარემო შექმნა... იგულისხმება ჯაკუზი.



ინტერნეტი. იმ ტრილიონი დოლარებიდან, რაც გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან პენტაგონის სასარგებლოდ იქნა ამოღებული, დარჩა ერთადერთი სიკეთე - ინტერნეტი. ეს ქსელი, როგორც სამხედრო-საკომუნიკაციო საშუალება, რასაც პირველად APRANET-ი ერქვა, შეიქმნა 1969 წელს. ქსელის პირველი სამოქალაქო მომხმარებელნი კი გახდნენ 1971 წელს მასაჩუსეტის შტატში 15 კომპიტერის მფლობელი სუბიექტები; ორი წლის შემდეგ ამ რიცხვმა 37-ს მიაღწია და მხოლოდ 1983 წელს, როცა ევროპელმა მეცნიერებმა ე.წ. „მასშტაბირებული პროტოკოლები“ შექმნეს, შესაძლებელი გახდა ამერიკელთა ქსელში მოხვედრა. ამრიგად შეიქმნა ქსელი, რასაც ახლა მილიონობით მომხმარებელი ჰყავს, რომლებიც ინფორმაციის ოკეანით თითქმის უფასოდ სარგებლობენ.

## ჯელალ ედ-დინ რუმი. ყაზალები

8.

შენზე ფიქრებმა გამაწამეს მე დღე და ღამე,
შენს ფერხთით ვარ და გასმენ „ვამეს“ მე დღე და ღამე.

„ვამეს“ ძახილით დღეს და ღამეს სახე ვუცვალე
და ველარ ვარჩევ დღეს და ღამეს მე დღე და ღამე.

სულსაც და გულსაც ტრფიალისთვის გავწირავ მე და
აღარ ვინატრებ ქვეყნად რამეს მე დღე და ღამე.

ჩემი გონების შეგონების არშესასმენად
არყოფნად ვაქცევ ყოფნის წამებს მე დღე და ღამე.

მუტრიბი არ ჩანს და ტრფიალის ჩანგზე სიმივით
თვით გამაბეს და გამაბამეს მე დღე და ღამე

ჰოი, იმღერეთ სიყვარულზე და ჩემს გოდებას
კვლავაც მივაწვდენ ცის სამანებს მე დღე და ღამე.

და ტრფობის გვალვა თუ გამიხმობს სულის ანეულს,
თვალთა ღრუბელი ცრემლს დამადენს მე დღე და ღამე

10 mTargmneli al.elerdaSvili

# თავსატეხი

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 11 | 16 | 11 | 17 | 2 | ■ | 29 | 32 | 3 | 11 |
| 2 | ■ | 11 | ■ | 18 | ■ | 12 | ■ | 3 | ■ | 3 |
| 3 | 11 | 24 | 2 | ■ | 14 | 25 | 2 | 11 | 4 | 2 |
| 4 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ | 18 | ■ | 4 | ■ | 22 |
| 5 | 2 | 3 | 19 | 5 | 2 | ■ | 13 | 2 | 16 | 33 |
| 2 | ■ | 2 | ■ | 22 | ■ | 16 | ■ | 32 | ■ | 25 |
| ■ | 8 | 10 | 25 | 33 | 21 | 33 | 3 | 19 | 16 | 11 |
| 16 | ■ | 11 | ■ | 25 | ■ | 25 | ■ | 5 | ■ | 29 |
| 11 | ■ | ■ | 8 | 2 | 27 | 2 | 5 | 22 | 25 | 2 |
| 25 | ■ | 2 | ■ | 11 | ■ | 3 | ■ | 19 | ■ | 11 |
| 9 | 11 | 27 | 2 | ■ | 26 | 2 | 27 | 10 | 11 | ■ |
| 11 | ■ | 15 | ■ | 19 | ■ | 18 | ■ | 2 | ■ | 30 |
| 2 | 19 | 10 | 19 | 6 | 11 | 8 | 11 | ■ | 26 | 11 |
| 11 | ■ | 2 | ■ | 11 | ■ | 2 | ■ | 31 | ■ | 22 |
| ■ | 11 | 25 | 1 | 2 | 11 | ■ | 5 | 11 | 26 | 33 |
| 20 | ■ | 32 | ■ | 19 | ■ | 28 | ■ | 3 | ■ | 14 |
| 2 | 4 | 33 | 11 | ■ | 7 | 2 | 7 | 2 | 3 | 19 |
| 22 | ■ | 3 | ■ | 10 | ■ | 27 | ■ | 11 | ■ | 27 |
| 11 | 16 | 2 | 22 | 18 | 25 | 2 | 33 | 27 | 22 | 2 |

### თავსატეხის „გასაღები“ მარჯვნივ, ქვედა ფოტოში დევს

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 |

### ამავე ნომრის პასუხები

**რეიტინგი** (მე-2 გვ.) 1. სტოპერი. 2. ტორფი. 3. პიმენი. 4. რიზე 5. ბორდერი. 6. დალი. 7. რანტიე. 8. სკამი. 9. კვესელავა. 10. დეკორაცია. 11. კარამაზოვი. 12. ბლანქე. 13. შტატი. 14. მზიანი. 15. ასიტა. 16. ჯირო. 17. ბასილაშვილი. 18. ინფანტი. 19. შარლატანი. 20. ამანგელდი. 21. თიყვა. 21. თაიმსი. 23. ვოვკი. 24. ფაუ. 25. კორტინა. 26. იზოგლოსები. 27. ნოა. 28. ავაზაკი. 29. პეპო. 30. კულიბინი. 31. ლიგა. 32. ბურდა. 33. კოლბა. 34. გოთოკა. 35. ფოფოდია. 36. კარე. 37. ჯაყო. 38. აზერბაიჯანი. 39. ჰელიო. 40. დიდონა.

**„ფანტაზიორი“** (მე-6 გვ.)

1. მიქოიანი (ანასტას მიქოიანი - სახელმწიფო მოღვაწე, არტემ მიქოიანი - ავიაკონსტრუქტორი, მიგის შემქმნელი). 2. ალფრედ ჰიჩკოკი. 3. ბრაილის (უსინათლოთა) ანბანის ცოდნა. 4. დევიდ დუხოვნის. 5. მერი-ენი (რობინ ჰუდის სატრფო) და მარიანა (სერიალიდან „მდიდრებიც ტირიან“, მსახიობი ვერონიკა კასტროა!). 6. ღვიძლი (საშუალოდ ადამიანის ორგანიზმში ყველაზე მეტს, 1560 გრამს იწონის ღვიძლი).



# კოსმოსის ათვისება

## პილოტირებული ფრენის ქრონიკა

70. 1979 წელი, 25 თებერვალი - 19 აგვისტო
**ვლადიმერ ლიახოვი, ვალერი რიუმინი** - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-32“, „სოიუზ-34“, „პროგრეს-5,6,7“
*მეშვიდე ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-6“-ზე. ფრენის ხანგრძლივობა - 175 დღე-ღამე.*

71. 1979 წელი, 10 - 12 აპრილი
**ნიკოლაი რუკავიშნიკოვი, გეორგი ივანოვი** (ბულგარეთი) - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-33“.
*მეოთხე საერთაშორისო ეკიპაჟი.*

72. 1980 წელი, 9 აპრილი -11 ოქტომბერი
**ლეონიდ პოპოვი, ვალერი რიუმინი** - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-35“, „სოიუზ-37“, „პროგრეს-8,9,10,11“
*მერვე ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-6“-ზე. ფრენის ხანგრძლივობა - 185 დღე-ღამე.*

73. 1980 წელი, 26 მაისი -3 ივნისი
**ვალერი კუბასოვი, ბერტლან ფარკაში** (უნგრეთი) - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-36“.
*მეხუთე საერთაშორისო ეკიპაჟი.*

74. 1980 წელი, 5-9 ივნისი
**იური მალიშევი, ვლადიმერ აქსიონოვი** - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-ტ-2“.
*ახალი ხომალდის, „სოიუზ-ტ“-ს, გამოსაცდელი ფრენა.*

75. 1980 წელი, 23-31 ივლისი
**ვიქტორ გორბატკო, ფამ ტუანი** (ვიეტნამი) - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-37“.
*მეექვსე საერთაშორისო ეკიპაჟი.*

76. 1980 წელი, 18-26 სექტემბერი
**იური რომანენკო, არნალდო მენდესი** (კუბა) - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-38“.
*მეშვიდე საერთაშორისო ეკიპაჟი.*

77. 1980 წელი, 27 ნოემბერი - 10 დეკემბერი
**ლეონიდ კიზიმი, ოლეგ მაკაროვი, გენადი სტრელკოვი** - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-ტ-3“, „პროგრეს-11“
*ახალი ხომალდის, „სოიუზ-ტ“-ს, გამოსაცდელი ფრენა 3-ადგილიან ვარიანტში.*

78. 1981 წელი, 12 მარტი - 26 მაისი
**ვალენტინ კოვალენოკი, ვიქტორ სავინიხი** - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-ტ-4“, „პროგრეს-12“
*ორბიტალური სადგურის, „სალიუტ-6“-ის სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება.*

79. 1981 წელი, 22 მარტი - 30 მარტი
**ვლადიმერ ჯანიბეკოვი, ჟუგდერდემიდიინ გურაგჩა** (მონღოლეთი) - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-39“.
*მერვე საერთაშორისო ეკიპაჟი.*

80. 1981 წელი, 12-14 აპრილი
**ჯონ იანგი, რობერტ კრიპენი** - კოსმოსური ხომ. „STS-1“ „კოლუმბია“, აშშ.
*მრავალჯერადი კოსმოსური ხომალდის - „სპეის შატლის“ - პირველი საცდელი ფრენა.*

81. 1981 წელი, 14-22 მაისი
**ლეონიდ პოპოვი, დუმიტრუ პრუნარიუ** (რუმინეთი) - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-40“.
*მეცხრე საერთაშორისო ეკიპაჟი.*

82. 1981 წელი, 12-14 ნოემბერი
**ჯო ენგლი, რიჩარდ ტრული** - კოსმოსური ხომ. „STS-2“, კოლუმბია“, აშშ.
*მრავალჯერადი კოსმოსური ხომალდის - „სპეის შატლის“ - მეორე საცდელი ფრენა.*

83. 1982 წელი, 22-30 მარტი
**ჯეკ ლუსმა, ჩარლზ ფულერტონი** - კოსმოსური ხომ. „STS-3“, კოლუმბია“, აშშ.
*მრავალჯერადი კოსმოსური ხომალდის - „სპეის შატლის“ - მესამე საცდელი ფრენა.*

84. 1982 წელი, 13 მაისი - 10 დეკემბერი
**ანატოლი ბერეზოვოი, ვალენტინ ლებედევი** - კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-ტ-5“, „პროგრეს-13,14,15,16“
*ფრენის ხანგრძლივობა 211 დღე-ღამე.*

# გასული ნომრის პასუხები

**მესამე გვერდი**. 1. მაქსიმუმი. 2. არბალეტი. 3. სილოსი. 4. მუტი. 5. მორტენსონი. 6. გარდაბანი 7. დაგომეა. 8. ამბულატორია. 9. დალასი. 10. ხეჩო. 11. ბერგამო. 12. ბატი. 13. მერსიე. 14. იაგუარი. 15. ქარგონი. 16. დრამატურგი. 17. ინტონაცია. 18. ართურმა. 19. ზაგრები. 20. კოვენტრი. 21. არმური. 22. სორო. 23. ცხვირი. 24. რეტი. 25. ახმეტა. 26. როჭო. 27. ბურგომისტრი. 28. ბიროფილია. (ამოსაცნობი ფრაზა იყო - „სალამი ჩიტუნებო, რომელს ვეტრფი არ ვიცი“)

**მეხუთე გვერდი**. *თარაზულად*: 1. ღლონტი. 4. სმოლენსკი. 8. ჰერმესი. 14. მიტერანი. 15. ყვავილები. 16. ურარტუ. 19. პროსცენიონი. 20. ტრანსკრიპცია. 23. ექვსასი. 24. რესტორანი. 25. ანძა. 29. კონორი. 30. ბრინერი. 31. შტრაუსი. 35. ტროა. 36. კოოპერატივი. 37. ბუდარია. 41. კოლიბრი. 42. ანაკოლუთი. 43. ადლერი. 47. ენიგმა. 48. მარკესი. 49. დიმიტრიადი. 52. ანდროპოვი. 53. სპიტაკი. 54. მილე. 58. ნუში. 59. კლიტე. 60. ტურკუ. 61. ეკალა. 66. იფანი. 67. ინცესტი. 68. გარნიტური. 73. ბატალოვი. 74. ფრანკონია. 75. ანანკე. 78. ესპერანტო. 79. კოლინზი. 80. კიბე. 84. ლუთერი. 85. ფლორენცია. 86. აბრაზია. 90. მონე. 91. ქაცვი. 92. ვიგვამი. 93. სტინგი. 97. ეთიოპია. 98. ჩარლი. 99. პლოეშტი. 104. მანდარინი. 105. აივენჰო. 106. დალი. 110. ანანდი. 111. იმბრუგლია. 112. კომპოტი. 116. ნეკერჩხალი. 117. ალიანსი. 118. სმალტა. 121. კიმი. 122. სვანეთი. 123. ყვარყვარე. 127. ვანილინი. 128. მურტალო. 129. ტრენტონი. 130. გალია. 131. მურილიო. 132. ჭალადიდელი. *შვეულად*: 1. ღამე. 2. ოსტერი. 3. ტერფსიქორე. 5. ლევანი. 6. ნევა. 7. კოლორიტი. 9. მერსიე. 10. სარაცინი. 11. ანთეოსი. 12. აბენდროტი. 13. თურაშაული. 17. ბიდსტრუპი. 18. აკონკაგუა. 21. ბერკეტი. 22. თეორეტიკოსი. 26. ანთოლოგია. 27. ანდრონიკოვი. 28. ესპანდერი. 32. მოირა. 33. გველი. 34. სიდერაცია. 38. ტიუმენი. 39. ათეისტი. 40. მილიმეტრი. 44. მერიენი. 45. რასპუტინი. 46. ჭიაკოკონა. 50. ჭრელა. 51. ოპეკი. 55. ეშაფოტი. 56. კურტანი. 57. პლუტონი. 62. ინგლისური. 63. სეკრეტერი. 64. ბაზილიო. 65. ტრენტინიანი. 69. აბესალომი. 70. ევბეა. 71. კოროლიოვი. 72. მედეა. 76. პავლოვი. 77. ბზობა. 81. ათინათი. 82. ინდიელი. 83. კასტეტი. 87. დარინდა. 88. ამალთეა. 89. ლიგურია. 94. კომანდორი. 95. გარნირი. 96. ბეკჰემი. 100. კალაშნიკოვი. 101. ტრამპლინი. 102. პიპინაშვილი. 103. პასტელი. 107. ნარკომანია. 108. მგელი. 109. მონმორანსი. 113. ახოვანი. 114. ასტრა. 115. პარალიზი. 119. ათეული. 120. ივერია. 124. ალტი. 125. ეტლი. 126. მოსე.

**მეექვსე გვერდი**. 1. ღობემძვრალა. 2. ანჯაფარიძე. 3. ცაბაძე. 4. კალატოზიშვილი. 5. კალათბურთი. 6. ბოლოქანქარა. 7. მაფშალია. 8. მანანა თოდაძე. 9. დიელო. 10. ალიაბიევი. 11. გრუზინსკი. 12. ინკუბატორი. 13. მოლაღური. 14. არისტოფანე. 15. უგრეხელიძე. 16. ანკილოზავრი. 17. ჰიჩკოკი. 18. გნატიუკი.

**საწვრთნელ-საკვალიფიკაციო კროსვორდი**. *თარაზულად*: 1. კუნძული. 4. ოკაპი. 7. ლიმპოპო. 14. ჩივილი. 15. მილიონერი. 16. ბრინკა. 18. ნუში. 19. მორატორიუმი. 20. დიდედა. 23. მამკოდა. 24. ამატერასუ. 28. მარკა. 29. ჭრელა. 30. ეკუმენიზმი. 34. ლიპარიტი. 35. ცირკულარი. 36. მტე. 40. სესილი. 41. შენგენი. 42. შვრია. 46. ნება. 47. წუმპე. 48. მაჩვი. 49. მცხეთა. 53. მარლი. 54. საბურთალო. 55. მაკე. 59. კდემა. 60. გონგი. 61. ბლოკირება. 66. ტროა. 67. ფრისტაილი. 68. ანტიდოტი. 69. აბისინია. 70. მანიაკი. 71. ჰილარი. *შვეულად*: 2. ულვაში. 3. ძილი. 5. კრივოი. 6. პენტიუმი. 8. პარკინსონი. 9. პანგეა. 10. უჩინარი. 11. მიზანდარი. 12. გრამატიკული. 13. პატაგონია. 17. კონკა. 21. ბარკაროლა. 22. კრამაროვი. 25. ლამპასები. 26. ალთინგი. 27. აზოტი. 31. ალესანდრო. 32. შტო. 33. აკონკაგუა. 37. კერპი. 38. ლინცი. 39. პანაცეა. 43. დუელი. 44. ყვითელი. 45. მებამბეობა. 50. კარმა. 51. მარგიანა. 52. სლოკინი. 56. იდიოტი. 57. სოუსი. 58. ჩრდილი. 62. ეტნა. 63. არხი. 64. ელფი. 65. გიჟი.

**მე-17 გვერდი**. თარაზულად: 1. სერპანტინი. 6. პეტიპა. 11. რეპრიზა. 12. სტაროვერი. 13. ოდრი. 14. სამართებელი. 18. ზვარაკი. 19. ილიკო. 20. ზმა. 21. ქვიშხეთი. 23. სვასტიკა. 25. რატევანი. 27. ალბინოსი. 30. ალბერტი. 31. ნეოტენია. 34. ეტლი. 35. დეკადა. 37. იგორი. 39. ბაილონი. 40. ამორალუეი. 42. შეხმატკბილება. 44. ბაროკამერა. 45. ალეპო. *შვეულად*: 1. სერსო. 2. რეპორტაჟი. 3. აკია. 4. ტრამალი. 5. ნასტასია. 7. ელო. 8. იდეალიზმი. 9. ალია. 10. ქართლი. 15. ბროდსკი. 16. მათხოვარი. 17. კასაცია. 18. ზაქარიაძე. 22. თინეიჯერი. 24. ვოლვო. 26. ტიბალტი. 28. ოსიკო. 29. ანჯაფარიძე. 32. ეპითალამა. 33. ბილიბინო. 36. აპოთემა. 38. ბოგანო. 39. ბუში. 41. ულისე. 43. ხმა.
















### თავსატეხი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 7 | მ | 16 | ღ | 28 |
| ბ | 21 | ნ | 13 | ყ | 29 |
| გ | 22 | ო | 5 | შ | 9 |
| დ | 23 | პ | 25 | ჩ | 3 |
| ე | 15 | ჟ | 10 | ც | 30 |
| ვ | 24 | რ | 11 | ძ | 32 |
| ზ | 8 | ს | 26 | წ | 33 |
| თ | 18 | ტ | 14 | ჭ | 6 |
| ი | 2 | უ | 12 | ხ | 19 |
| კ | 4 | ფ | 27 | ჯ | 20 |
| ლ | 17 | ქ | 31 | ჰ | 1 |




487. ორი კავკასიელი მოსკოვში ავტობუსით მგზავრობს. შემდეგი გაჩერებაა კინოთეატრი „Родина“.. ერთი ეკითხება მეორეს:

**– Ты у Родина выходишь?**

პასუხი:

**– А ты красывый, красывый, да?!**

488. **ცინცხალი ამბავი**:

...პაპა კარლომ შექმნა ბურატინო-გოგონა, რადგან დრელის ხმარება ისწავლა!...

489. **თანამედროვეთა აზრები**:

ბიბლია გვასწავლის, რომ უნდა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი, კამასუტრა კი გვასწავლის - „იმენნა“ როგორ გვიყვარდეს.

490. **Гиммлер вызывает своего сотрудника.**

**- Назовите ваше любимое двузначное число.**

**- Сорок пять!**

**- А почему не пятьдесят четыре?**

**- Потому что сорок пять! Гиммлер пишет в характеристику “характер твердый, нордический” и вызывает следующего.**

**- Назовите ваше любимое двузначное число.**

**- Двадцать восемь.**

**- А почему не восемьдесят два?**

**- Можно, конечно, и восемьдесят два, но лучше двадцать восемь. Гиммлер пишет “характер близок к нордическому” и вызывает следующего.**

**- Назовите ваше любимое двузначное число.**

**- Семьдесят семь...**

**- А почему не... А-а-а-а... это вы, Штирлиц.**

491. **აფორიზმი**

ჰიდრომეტცენტრში არასოდეს ეშლებათ ამინდის პროგნოზი. მათ ეშლებათ მხოლოდ დრო და ადგილი.

492. **ვარიაციები „მიმინოს“ თემაზე**

**Мизандари пишет письмо Хачикяну. Написал слово “как” и рядом нарисовал пчелу и вошь. Хачикян ничего не понял, звонит и спрашивает у Мизандари:**

**- Что ты, Валик-джан, написал?**

**- Как живошь? - поясняет Мизандари.**

**Хачикан пишет ответ. Нарисовал такси и барана. Мизандари тоже ничего не понял в послании друга и звонит в Дилижан. Хачикян отвечает ему по телефону:**

**- Валик-джан, я написал тебе, что живу так-си-бэ.**

493. **მსოფლიოს ხალხების რწმენა:**

1) *გერმანელებმა იციან*: თუ ძალზედ დაგცხა, სახე აგიწითლდა და დამწვრის სუნმაც შეგაწუხა, ესე იგი უნდა შეამოწმო - კრემატორიუმში ხომ არ იმყოფები?

2) *შვეიცარელებმა იციან*: თუ ბლიუმენშტრასეზე უეცრად პროფესორ პლეიშნერის სხეული ენარცხება, უნდა დაიჯერო, რომ მალე გამოზაფხულდება.

3) *რუსებმა იციან*: თუ დილით ადრე ფანჯარაში შემოიხედავს თავგასიებული და დაბღვერილი დათვი, ესე იგი წუხელის მუჟიკებმა ზედმეტი დალიეს, რადგან ეს ფანჯარა კი არა, სარკეა...

**გასული ნომრის იაპონური ნახატები**













ი/ს **„ფანტაზია-2000“**
(ნატ. ბერიკიშვილი)
რეგ.. ვაკე-საბურთალოს
რ-ნში № 5/1-2304
ტელ. - 79-53-70,
(8-77) 72-61-18
e-mail: sashiko45@
hotmail.com
**ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების**
რედაქტორობით

პოლო-
ნელი
მღვ-
დელი

იუპი-
ტერის
თანამგ-
ზავრი

პუშკინ-
ის ლექს
ის ად-
რესატი

ტიბეტის
მცოხ-
ნელი პი-
რუტყვი

ცისკა-
რას
სატრფო

ქიმი-
ური
ჭურ-
ჭელი

XVIII ს
ლიტ.მი-
მდინა-
რეობა

საბრძო-
ლო გემ-
ების შე-
ნაერთი

ასტრო-
ნომიის
მუზა

ამერი-
კული
მგელი

მე-20
გვერდი

რუსი
კაცების
სახელი

მოქრ-
ძალება

წვრილი
ხმა

ატლასი

ორლეა-
ნელი
ქალ-
წული

(.......)
კალმანი

ქაჯანას
და

თეთრი
სიგარეტი

ქართ.
გაზეთი

წუთი-
სოფელი



გურუ-
ლის
დედა

პირვე-
ლი კაცი
ქალაქში

ფუძი

ცნობი-
ლი რუსი
კატა

იუტა

ბაირონ-
ის პოემა

(.....)
პიცა

Аргум. и
факты

მდედრი

„ძილის
ნინ“

ასეთი
ცხოველ-
ის არსე-
ბობს

კავკასიელი

ბურთის გადაწოდება

ფოტოფირი

(....) ფილმანი

სუნ-
ამო

(....) მუ-
სამპა

მრწამსი

წყნე-
თელი

მე-20
გვერდი

დიდი
გომბეშო

განიერი
შარვალი

რუსული
სატვირ-
თო თვი-
თმფრინ.

ბანქოს
თამაში

ხაზი

მზა
ფორმა

(......)
ნათაძე

ტორი,
თითი

საფრან-
გეთის
ისტ.
რეგიონი

სიკეთე

(.....)
ხუნჭუა

რიგი

ირანის
ფული

სათა-
მაშო
ჯოხი

უზბე-
კეთის
ისტ.
ქალაქი

მე-20
გვერდი

მაგნი-
ტური...

გადმო-
ნაშთი

მზარე-
ულის
ინვენ-
ტარი

ჩრდილ-
ოური
ზღვის
ნათლია

შეყვა-
რებული
გულის
ყოფა

შეადგინა
ალ.ელერ-
დაშვილმა

უდაბნო
ჩილეში

მეოთხე
საუკუნის
ქართლის
მეფე

გერმან.
ქალაქი

ბიჭი
(მეგრ.)

ქალაქის მმართველობა